PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე:

თამარ ვალიშვილი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

**წევრები:**

ინგა ბაქრაძე – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ხათუნა მაისაია – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ***მარნეულის სამედიცინო კოლეჯი***

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ***შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება***

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

*დანართი №2*

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის N 1203 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ინგა ბაქრაძე (ჯგუფის წევრი), ხათუნა მაისაია (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 20, 21 და 22 იანვარს განახორციელა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში.*

*ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპს – მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე ქ. მარნეულში.*

*ვიზიტის პირველ დღეს განხორციელდა დაწესებულების ზოგადი მარეგულირებელი და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ხარისხის მართვის სამსახურის დოკუმენტაციის გადამოწმება. განხორციელდა გასაუბრება სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პასუხისმგებელ პირებთან.*

*ვიზიტის მეორე დღეს შემოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები. განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლა და მათ ნაწილთან გასაუბრება.*

*ვიზიტის მესამე დღეს ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება/შემოწმება. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება. შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

*ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა დასკვნის პროექტში ასასახი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მიგნებების და სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოპიებული ინფორმაციის შეჯერება.*

*დასკვნის პროექტის ძირითადი მიგნებები და ძირითადი ასპექტები ექსპერტებმა გააცნეს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალსა და საგნმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.*

*სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა მუშაობას და შეუქმნა ყველა პირობა ვიზიტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად. შედეგად ვიზიტმა მთლიანობაში ჩაიარა საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში.*

| მდგომარეობა (ახალი/ არსებული) | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებე ლი პერსონალის რაოდენობა | შენობა-ნაგებობების ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 200 | 2 | 25 | 762,04 კვ.მ | ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N 80 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

*დანართი №2*

PDF Eraser Free

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☐ | ■ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 /** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **პუნქტი ვ.დ)** | | |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

1.1. *პროფესიულ პროგრამაში „საექთნო განათლება დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი – მითითებულია ერთი კვალიფიკაცია – მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი), კოდი 090354. ვიზიტის დროს დირექტორის ბრძანებით (N41, 20.01.2020წ) შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის N 35 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანებაში და საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირდა ორივე კვალიფიკაცია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

*1.1. პროფესიულ პროგრამაში „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი – მითითებულია ერთი კვალიფიკაცია – ,მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში“. ვიზიტის დროს დირექტორის ბრძანებით (N41, 20.01.2020წ) შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის N 35 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანებაში და საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირდა ორივე კვალიფიკაცია.*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*1.1. სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია პრაქტიკის ბაზების რაოდენობის გაზრდა.*

*2.3. სასურველია წიგნადი ფონდის თანამედროვე ლიტერატურით შევსება.*

*3.2. პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ მუდმივად უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სასურველია ჩაუტარდეს მეტი განმავითარებელი ტრენინგი.*

## VII. დაწესებულების მისია –

***შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მისია:***

- *განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას.*
- *იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

- *მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები  და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების  ბაზარზე;*

*მისია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე [www.mscollege.ge](www.mscollege.ge) და ყველა დაინტერესებულ პირთათვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*დაწესებულება გეგმავს 2 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას: „საექთნო განათლება“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“.*

*საგანმანათლებლო პროგრამები თავდაპირველად დამტკიცებულია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის N35 ბრძანებით. შემდგომში კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N38, 6.11.2019წ) შესულია ცვლილება წინამდებარე ბრძანებაში და მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ახალი რედაქციით.*

*საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მოხდა შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 4–ს – საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება, დანერგვა და მოდიფიცირება – თანახმად (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 ნოემბრის N 40 ბრძანებით).*

***საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ –***

*პროფესიული პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - საექთნო განათლება (Nursing) (სარეგისტრაციო ნომერი - 09109-3) საფუძველზე.*

*პროგრამაში მითითებულია მხოლოდ მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი), კოდი 090354. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარში მითითებულია ჩარჩო დოკუმეტით გათვალისწინებული ორივე კვალიფიკაცია –*

- *მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი); და*
- *ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან).*

*ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა აღნიშნული გარემოება ტექნიკური ხარვეზით.*

*ვიზიტის დროს დირექტორის ბრძანებით (N41, 20.01.2020წ) შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის N 35 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანებაში და საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირდა ორივე კვალიფიკაცია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მიზანი, სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი, პროფესიული) მოდულები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების სპეციფიკა, კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნები, პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები, სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, პრაქტიკის ობიექტები. პროგრამას დანართის სახით ახლავს მოდულები, პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი მოდულები ადაპტირებულია.*

***პროგრამის საექთნო განათლება“*** *მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს, მათ შორის 9 კრედიტს შეადგენს ზოგადი მოდულები და 171 კრედიტს – პროფესიული მოდულები.*

*მოდულების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:*

- *ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი;*
- *თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი: ჰისტოლოგია – 2 კრედიტი, ბიოქიმია – 4 კრედიტი, მიკრობიოლოგია – 4 კრედიტი, ანატომია-ფიზიოლოგია – 10 კრედიტი, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)– 4 კრედიტი.*
- *თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი: დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში – 4 კრედიტი, ფარმაკოლოგია – 5 კრედიტი, ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში – 2 კრედიტი, ინფექციის კონტროლის საფუძვლები – 2 კრედიტი, გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები – 3 კრედიტი, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 6 კრედიტი, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 7 კრედიტი, გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 3 კრედიტი, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია – 5 კრედიტი, სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 2 კრედიტი, პედიატრია და მოზარდები – 3 კრედიტი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – 3 კრედიტი.*
- *თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი: საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში – 1 კრედიტი, სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში – 3 კრედიტი, საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები – 2 კრედიტი.*
- *პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი: ავადმყოფის მოვლა – 4 კრედიტი, შინმოვლა – 2 კრედიტი.*
- *კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი: კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა – 11 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა – 11 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა – 10 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*საექთნო მართვა – 5 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა – 12 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა – 4 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა – 3 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები – 7 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები – 3 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – 3 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – 3 კრედიტი.*

*საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლის პროცესის ხანგრძლივობა – 120 სასწავლო კვირა, ანუ 31 სასწავლო თვე. სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები.*

*საექთნო განათლების პროგრამის მოცულობა ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით არის 210 კრედიტი. მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება დაიწყება ქართული ენის მოდულით. არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე. შესაბამისად, ამ კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 141 სასქვლო კვირას, ანუ 37 სასწავლო თვეს.*

*პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები –*

- ***შპს „ავერსის კლინიკასთან“** (23. 08. 2019 წ.) –*

*ხელშეკრულების მოქმედების ვადაა –2025 წლის 1 იანვრამდე. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 10 პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება: 1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 2) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 6) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 8)შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 9)კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 10) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 11) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები; 12) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.*

- ***შპს „ოპტიმალ მედი“–სთან ( 07. 10. 2019 წ) –***

*ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 1 იანვრამდე. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 35 პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება: 1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 2)შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3)კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4)შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5)კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 6)შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 7)კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 8)შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

*დანართი №2*

PDF Eraser Free

- *<u>შპს მარნეულის ამბულატორიასთან</u> (14.08.2019 წ.) –*

*ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 15 აგვისტომდე. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს <u>30 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება: 1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 2) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 6) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 7) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები; 8) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.*

- *<u>შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან</u> (14.08.2019წ) –*

*ხელშეკრულების მოქმედების ვადაა – 2025 წლის 15 აგვისტომდე და იგი ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს <u>30 პროფესიული სტუდენტი.</u> აღნიშნულ ბაზაზე იგეგმება 2 მოდულის სწავლება: 1) კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯნმრთელობა და ფსიქიატრია; 2)შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.*

- *<u>შპს ,, მარნეკორი“</u> თან (03. 09. 2019 წ), -*

*ხელშეკრულება მოქმედებს 2025 წლის 01 იანვრამდე და ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს <u>30 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება: 1) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 3) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 4) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 5) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 6) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 7) ავადმყოფის მოვლა; 8) შინმოვლა.*

*კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება ასახავს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს პრაქტიკის ობიექტების მიმართ. ხელშეკრულებებში გაწერილია ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება მოვალეობების რეგულირების მექანიზმი, დამატებითი მოთხოვნები, პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები, ანგარიშგების/ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება.*

*ყველა ხელშეკრულებაში ჩაწერილია დამატებითი მოთხოვნა - კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 1/7 , გარდა ამისა ასახულია პირადი დაცვის საშუალებებით პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა.*

*ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კლინიკური პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, შპს ,,ავერსის კლინიკა“, შპს „მარნეკორი“, შპს მარნეულის ამბულატორია. ობიექტებზე ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, დადგინდა აღნიშნული ობიექტების მზაობა სტუდენტების მიღებისათვის.*

*<u>სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია პრაქტიკის ბაზების რაოდენობის გაზრდა.</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

*დანართი №2*

PDF Eraser Free

2. ***საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" –***

*საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება №35 25.09.2019წ. ცვლილება ბრძანება N38 06.11.2019წ. პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ფარმაცია(სააფთიაქო)" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - (სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ), მისანიჭებელი კვალიფიკაცია – მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში fifth level of professional qualification in pharmacy. . აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას."*

*ფარმაცია(სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით , 26 პროფესიულ მოდულს - ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს - 3 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა 159 კრედიტი.*

*პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ,ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).*

*კოლეჯის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული კვალიფიკაცია მითითებულია მხოლოდ ,,მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში", მაშინ როდესაც ჩარჩო დოკუმენტი - ფარმაცია (სააფთიაქო)(დამტკიცების თარიღი 407/ი 21.05.2018, ცვლილება ბრძანება N274/ი, 16.04.2019), მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის- ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). თუმცა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმორდგენილ თვითშეფასებაში წარმოდგენილია ორივე კვალიფიკაცია. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი. კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ახალი ბრძანება პროგრამებში შეტანილი ცვლილების შესახებ, რის საფუძველზეც ზემოაღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოსწორებული იქნა.*

*პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები.*

*პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება:*

- ***შპს ,, მარნეულის ამბულატორია"სთან -***

*ხელშეკრულება N7 დადებულია 27.08. 2019წ. -01.09 2025წ. ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის არ ქონების შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით. ხელშეკრულების საგანია მოდული ,,ბიოქიმია" განხორციელება;*

- [redacted]



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

*ხელშეკრუება N8 დადებულია 30.08.2019-01.09.2025წ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის არ ქონების შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით. (10 სტუდენტი). ხელშეკრულების საგანია 7 პროფესიული მოდულის განხორციელება: 1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 6. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 7. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება.*

- [redacted]– [redacted]

*ხელშეკრულება N9, დადებულია 2019 წლის 30 აგვისტო (10 სტუდენტი). ძალაშია ხელმოწერიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე. ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის არ ქონების შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით. ხელშეკრულების საგანია 7 პროფესიული მოდულის განხორციელება: 1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;*

*5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 6. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 7. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება.*

- ***შპს „ელთუნი“ (აფთიაქი) –***

*ხელშეკრულება N10, დადებულია 30.08.2019წ. მოქმედიბის ვადა – 01.09.2025წლ. ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის არ ქონების შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით. (10 სტუდენტი). ხელშეკრულების საგანია 7 პროფესიული მოდულის განხორციელება: 1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;*

*4. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 6. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 7. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება.*

*წინამდებარე ხელშეკრულებები ითვალისწინებდა 7 მოდულის განხორციელებას. ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტში გარემოსა და მასალისათვის სარეკომენდაციო ჩანაწერში მოდულის „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ რეკომენდირებულია პრაქტიკული შედეგების განხორციელება აფთიაქში, თუმცა ეს არ გამორიცხავს ასევე სიმულაციურ გარემოში იგივე პრაქტიკული უნარების გამომუშავების შესაძლებლობას. კოლეჯს მოწყობილი აქვს სიმულაციური გარემო მოდულის შესაბამისი აღჭურვილობითა და მასალით. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შეთანხმება ხელშეკრულებებში ცვლილების შესახებ, რაც გულისხმობს აფთიაქებში დამატებით, მოდულის „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ ჩატარებას.*

*ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, შპს მარნეულის ამბულატორია, აფთიაქები - [redacted]ლთუნი“ . ობიექტებზე ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

*კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, პრაქტიკის ობიექტებზე მოდულების განმახორციელებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ იციან მოდულის განხორციელების მიდგომები, კერძოდ მოდულური სწავლებისა და შეფასების მეთოდები დადგინდა აღნიშნული ობიექტების მზაობა სტუდენტების მისაღებად.*

*<u>სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია პრაქტიკის ბაზების (აფთიაქების) რაოდენობის გაზრდა.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის N35 ბრძანებით;*
- *შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N38, 6.11.2019წ);*
- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" დებულებით (დამტკიცებულია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის N1 ბრძანებით);*
- *პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით;*
- *სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;*
- *ინტერვიურებით განმახორციელებელ პირებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*მარნეულის სამედიცინო კოლეჯში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ დ იგი სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. მასში წარმოდგენილია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის, ხედვებისა და ღირებულებების, პრაქტიკების, პარტნიორების, საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

PDF Eraser Free

*ვებ გვერდზე განთავსებული პროგრამების აღწერილობის (კატალოგი) პუნქტში კატალოგი მოთავსებული არაა, არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამები – „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და საექთნო განათლება.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კატალოგის ბეჭდური ვერსიით;*
- https://mscollege.ge/

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**: *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მარნეულის სამედიცინო კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შესწავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები, შეესაბამება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს და ასახავს მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;*
- *ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

*დანართი №2*

PDF Eraser Free

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით.*

***პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი*** *განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი 5–ით. წინამდებარე წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია ა) საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, საფეხური, სწავლის საფასური და ადგილების რაოდენობა; ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი: გ.ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება; გ.ბ) პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი); გ.გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი); გ.დ) 2 ფოტო 3x4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე);გ.ე) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი; დ) წინამდებარე წესის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების ვადები;ე) სასწავლო პროცესის დაწყების და დასრულების თარიღი.*

*პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ. დირექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.*

*იმ შემთხვევაში თუ კი კოლეჯში განაცხადი შემოიტანა სტუდენტთა იმ რაოდენობამ, რომელიც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის შეირჩევა განათლების დამადასტრუებელი დოკუმენტის დანართში დაფიქსირებული საბოლოო ნიშნების/ქულების საფუძველზე.*

*წინამდებარე დებულების მუხლი 9–ით განსაზღვრულია* ***პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი.*** *. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:ა) პირადი განცხადება;ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;გ) ფინანსური დავალიანება;დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობილის მოვალა;ე) კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

*სტუდენტის სტატუსი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.*

***პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი (მუხლი 11).***

*პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:ა) პირადი განცხადება;ბ) პროფესიული პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;გ) გარდაცვალება; დ) სწავლის პერიოდში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება; ე) კოლეჯის შინაგანაწესითა და ამ წესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები. კოლეჯი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 12 თვის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დ) სწავლის პერიოდში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება. კოლეჯი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.*

***სტუდენტთა მობილობის წესი*** *(მუხლი 12).*

*სწავლის პროცესის მარეგულირებელი დებულების თანახმად მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა); ბ) თუ სხვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის განცხადება (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები), რომლის საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების და მოდულის ცალკეული შედეგეების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის მობილობის შესახებ. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც მობილობის დროისათვის წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

***მიღებული განათლების აღიარების წესები*** *განისაზღვრება წინამდებარე დებულების მუხლი 13 და 14–ით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 ნოემბრის N 40 ბრძანებით;*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც აღწერილია შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 17–ში: ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში; ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას; გ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.*

*წინამდებარე დებულების თანახმად, კოლეჯს გაფორმებული აქვს*

- *მემორანდუმი შპს ინტერბიზნესის აკადემიასთან ფარმაციის (სააფთიაქო) და საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა მობილობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით;*
- *მემორანდუმი შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯთან საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა მობილობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 ნოემბრის N 40 ბრძანებით;*
- *შპს ინტერბიზნესის აკადემიასთან მემორანდუმით (N14, 04/10/2019წ);*
- *შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯთან მემორანდუმით (N13, 02/10/2019წ);*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს კოლეჯის საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციის დებულებებით, კოლეჯის დებულებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით. სამსახური ხელს უწყობს კოლეჯის სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა კოლეჯის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო და სხვა საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.*

*ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული; ხარისხის შიდა მექანიზმის ეფექტურად განსახორციელებლად კოლეჯი უზრუნველყოფილია ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსით; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს: 1. პერსონალის (პროფესიული მასწავლებელი, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა; 2. პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და შედეგებს გაითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; 3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩაერთვებიან პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები, ასევე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.); 4. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; 5. კოლეჯის მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისების, სასწავლო და მატერიალური რესურსების ხარისხის შეფასების მექანიზმები. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება სერვისების შემდგომი განვითარებისთვის; 6.პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მექანიზმები შემდგომის რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაანალიზებულ შედეგებში, განსაზღვრული იქნება ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზები და შემუშავებული იქნება მკაფიო რეკომენდაციები*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

*პრობლემების მოსაგვარებლად. შეფასებების შედეგები რეკომენდაციებთან ერთად რეაგირებისათვის წარდგენილი იქნება კოლეჯის დირექტორისათვის.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 1 ივლისის N15 ბრძანებით);*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან გასაუბრებით;*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 762,04 კვ.მ ფართს შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა, N 80, კერძოდ,*

- *შპს „მ.კ.“–სა და შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება (N1, 24/07/2019წ) 380 კვ.მ.ფართზე; მისამართი: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა, N 80 (მეორე სართული) 10 წლის ვადით;*
- *შპს „ეი–ბი–ემ“–სა და შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება (N23/–1–19; 23.07.2019წ) 382,04 კვ.მ.ფართზე; მისამართი: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა, N 80 10 წლის ვადით;*

*ჯამში – 762,04 კვ.მ.*

**დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:**

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა, N 80 | 762,04 კვ.მ |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს „მ.კ.“–სა და შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულებით (N1, 24/07/2019წ);*
- *შპს „ეი–ბი–ემ“–სა და შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულებით (N23/–1–19; 23.07.2019წ);*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან* [redacted]
- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან* [redacted]
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*კოლეჯს საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა.*

*კოლეჯს აქვს 5 A სასწავლო გარემო, თითოეულ გარემოში არის 14 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის და მასწავლებლის სამუშაო მაგიდა. A ტიპის გარემოს ოთახები არის 22 კვ. მ; სულ 110 კვ.მ.*

| | | |
|---|---|---|
| *A გარემო 22 კვ.მ.* | *მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის* | *14* |
| | *სკამი პროფესიული სტუდენტისათვის* | *14* |
| | *დაფა* | *1* |
| | *საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით* | *1* |
| | *საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი* | *1* |

*კოლეჯში არის 2 B სასწავლო გარემო (ორი კომპიუტერული კლასი), თითოეულ გარემოში (15 კვ.მ და 22 კვ.მ) არის 10 -10 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის.*

***საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“*** *44კვ.მ-ზე განთავსებულია AC სასწავლო გარემო 25 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით და აფთიაქის მოდელი C გარემო 22 კვ.მ.; 22 კვ.მ ფართის C სასწავლო გარემო ქიმიის ლაბორატორიისთვის, სადაც ლაბორატორიულ სამუშაოებზე შესაძლებელია იმუშაოს 16-მა პროფესიულმა სტუდენტმა.*

*შესაბამისად, ერთდროულად შესაძლებელია 32 სტუდენტის სწავლება სწორად შედგენილი სასწავლო გეგმის, აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით. გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული პროგრამის*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, ჯამურად დაწესებულებას შეუძლია 64 სტუდენტი მიიღოს. პრაქტიკის ბაზების დათვალიერებისას და ადგილზე პრაქტიკის განმახორციელებელი პირების გასაუბრებისას ასევე დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა 64 სტუდენტის მიღებაზე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი განისაზღვრება 100 პროფესიული სტუდენტით, რაც არ არის შესაბამისობაშია კოლეჯის მატერიალურ რესურსებთან.*

*საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ AC სასწავლო გარემოს უკავია 66 კვ.მ. პროფესიული სტუდენტებისთვის 25 სამუშაო ადგილით.*

| AC გარემო აუდიტორია N 2<br><br>საექთნო განათლება 66კვ.მ | **საექთნო განათლება** | |
|---|---|---|
| | მონიტორი | 1 |
| | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი | 1 |
| | მაგიდა აღჭურვილობისათვის | 2 |
| | მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის | 25 |
| | სკამი პროფესიული სტუდენტისათვის | 25 |
| | დაფა | 1 |
| | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |

*შესაბამისად, 1 ცვლაში ერთდროულად შესაძლებელია 25 სტუდენტის სწავლება აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელება სწავლების მეორე და მესამე წელს იგეგმება კლინიკურ ბაზებზე, რასაც ადასტურებს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები. კლინიკური ბაზების დათვალიერებისას და ადგილზე პრაქტიკის განმახორციელებელი პირების გასაუბრებისას დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა 100 სტუდენტის მიღებაზე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი განისაზღვრება 100 პროფესიული სტუდენტით, რაც სრულიად შეესაბამისობაშია კოლეჯის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან.*

*ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;*
- *აზომვითი ნახაზით;*
- *ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალით;*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ–ცალკე არსებულ სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ/ ჰიგიენური ნორმები. ზოგადად შენობაში , ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *კომუნალური გადასახადების ქვითრებით.*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში და ასევე ჩაწერილია CD დისკებზე. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისათვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. კოლეჯის წიგნადი ფონდი შეადგენს 285 ბეჭდურ და 62 ელექტრონულ მატარებელზე არსებულ ერთეულს (სულ 347 ერთეული).*

*სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადოდ, კერძოდ, ინტერნეტში ჩართული 2 კომპიუტერით, კომბაინით, 6 მაგიდით, 10 სკამით. შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით სარგებლობა. პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს საშუალება აქვთ, შეუზღუდავად ისარგებლონ ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით.*

*ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი, ადგილზე იქნა დათვალიერებული და შედეგად (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით) დადგინდა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა/შესაბამისობა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*<u>სასურველია წიგნადი ფონდის თანამედროვე ლიტერატურით შევსება.</u>*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ბიბლიოთეკის დებულებით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ადმინისტრაციის წარმომადგენელთან, ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;*
- *ვებ გვერდით.*

**შეფასება:**

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*დაწესებულებას საკუთრებაში აქვს და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.*

| | | კომპიუტერები | მონიტორი | პრინტერი/ კომბაინი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერული კლასი B1 | 11 | | 1 |
| 2 | კომპიუტერული კლასი B 2 | 11 | | 1 |
| 3 | AC გარემო (ფარმაცია) | 1 | 1 | |
| 4 | AC გარემო (საექთნო განათლება) | 1 | 1 | |
| 5 | ბიბლიოთეკა | 2 | | 1 |
| 6 | ადმინისტრაცია | 4 | | 1 |
| 7 | აუდიტორიები | 5 | | |
| | სულ | 35 | 2 | 4 |

*სულ კოლეჯს გააჩნია – 35 კომპიუტერი, 4 პრინტერი (მათ შორის 3 კომბაინი), 2 მონიტორი. სასწავლო დაწესებულებაში, როგორც სასწავლო გარემოში, ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში და დერეფნებში ხელმისაწვდომია სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირი.*

**დასტურდება** *:*

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;*

PDF Eraser Free

- *ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კოლეჯში საქმისწარმოების წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კოლეჯსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში საქმისწარმოების ორგანიზაციას ახორციელებს საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია). დაწესებულებას აქვს ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; სხდომის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი; შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალი;სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რაც უზრუნველყოფს სანდოობას და მთლიანობას. შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა ბრძანებების გატარების სისწორეც.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის საქმის წარმოების წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 ნოემბრის N39 ბრძანებით);*
- *შესაბამისი ჟურნალებით.*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**
**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**
**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**
**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**
**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*კოლეჯში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;*

***ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;***

*დანართი №2*

PDF Eraser Free

*შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019წ 19 ივლისის N26 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს. წინამდებარე დებულების მუხლი N3 განსაზღვრავს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ, თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია: ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო დაცვის დანაყოფს (ამასთან აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, აგრეთვე შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი); ბ) შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე კოლეჯის დირექტორი და თანამშრომლები ვალდებულნი არიან ა) შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო დაცვას, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და მორიგე სამსახურებს;ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ადამიანთა გადასარჩენად;გ) შეამოწმონ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემის (ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) მუშაუნარიანობა;დ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), შეაჩერონ გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ ნედლეულის, გაზის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციები, შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;*

*კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით.*

***ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;***

*კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.*

***გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები***

*შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი. სამედიცინო პუნქტი განთავსებულია კოლეჯის შენობაში. სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კოლეჯში სამედიცინო მომსახურებისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს მოემსახურება ექიმი ან ექთანი (რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება გაფორმდება დაწესებულების ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში). კოლეჯი ვალდებულია ექიმის/ექთნის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.. კოლეჯი და თავად ექიმი/ექთანი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება. ექიმი/ექთანი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.კოლეჯის ექიმი/ექთანი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო და პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოება. კოლეჯის ექიმი/ექთანი უწევს მომსახურებას/დახმარებას სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში. დაწესებულებაში განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახი შესაბამისი ინვენტარითა და გამოსაყენებლად ვარგისი პირველადი სამედიცინო მედიკამენტებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

*დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

*კოლეჯში უზრუნველყოფილია პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებას იცავს კოლეჯის უსაფრთხოების სამსახური და შპს"ალგანი", რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას შენობაში და მთელ მის პერიმეტრზე. დაცვის თანამშრომლები დროულად და ეფექტურად რეაგირებენ წესრიგის დარღვევაზე, დაცულია კოლეჯის მატერიალური ფასეულობები, სტუდენტებისა და პერსონალის ფიზიკური უსაფრთხოება, კოლეჯის შიდა სივრცეში საზოგადოებრივი წესრიგი. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით და შესაბამისი ხელშეკრულებით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯში" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექნიზმით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019წ 19 ივლისის N26 ბრძანებით);*
- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესით ((დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019წ 19 ივლისის N26 ბრძანებით);*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ, შენობაში არის ლიფტი, პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილი. კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი. ამ წესის მიზანია ა) სსსმ და შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა და დროული იდენტიფიცირება;ბ) საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის/სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;გ) სსსმ და შშმ სტუდენტის უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური, ადამიანური,ფიზიკური, მატერიალური რესურსებით. საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივ დატვირთვით ჩართული სსსმ სტუდენტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" ვებგვერდი [www.mscollege.ge](www.mscollege.ge) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, საგანმანათლებლო პროგრამები (სრული აღწერილობა), პარტნიორები, მისია, სტრუქტურა, ბიბლიოტეკის შესახებ ინფორმაცია, სამოქმედო გეგმები, მარეგულირებელი აქტები, საკონტაქტო და ასევე სხვა ინფორმაცია. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვებ გვერდით [www.mscollege.ge](www.mscollege.ge)*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს" შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2019–2024წ. და ერთწლიანი 2020 წლ სამოქმედო გეგმები.*

*ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ორიენტირებულია მის განხორციელებაზე. დოკუმენტში ასახულია კოლეჯის 2019-2024 წლების განმავლობაში განვითარების პრიორიტეტები და მიდგომები, განვითარების შესაძლებლობები, არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის მექანიზმები. სტრატეგიული გეგმა დაფუძნებულია ფაქტობრივ მონაცემებზე, მტკიცებულებებსა და შესწავლილი კვლევების შედეგებზე. გაცხადებული მისიისა და ჩამოყალიბებული ხედვის რეალიზების მიზნით კოლეჯის სტრატეგია გამოყოფს 4 ძირითად მიზანს: სტრატეგიული მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება; სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტური სერვისების/საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება; სტრატეგიული მიზანი N3 - მართვის პროცესებისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება; სტრატეგიული მიზანი N4 - ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

PDF Eraser Free

*თითოეული მიმართულება მოიცავს მისთვის სპეციფიკურ მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის მიღწევადი, დროში გაწერილი და მათი განხორციელების შედეგები გაზომვადია; კოლეჯის სამოქმედო გეგმაში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები.*

*შიდა რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად კოლეჯი განახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას მოახდენს მონიტორინგის შედეგებზე.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N7 ბრძანებით);*
- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2024) (დამტკიცებულია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 23 ივნისის N 8 ბრძანებით);*
- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" სამოქმედო გეგმა, მიზნის მიღწევის ვადები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები (2020 წელი) (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 23 ივნისის N8 ბრძანებით);*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.**
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პერსონალის მიღების წესი გაწერილია მართვის ორგანოებში დანიშვნის წესსა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესში.*

*შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" მართვის ორგანოებში დანიშვნის წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წ.27.06 N13 ბრძანებით);*
- *შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წ.27.06 N13 ბრძანებით);*
- *პერსონალის პირადი საქმეებით*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციებს.*

*პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ მუდმივად უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სასურველია ჩაუტარდეს მეტი განმავითარებელი ტრენინგი.*

*ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მინიმუმ ერთი პირი, კერძოდ*

- *საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“- სთვის - 15 პირი (100 სტუდენტისათვის);*
- *საექთნო საქმე – 16 პირი (100 სტუდენტისათვის);*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;*
- *პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალით*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრული პირობებითა და ვადით. პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით დოკუმენტების მიღებას ახორციელებს კოლეჯის კანცელარია და ადამიანური რესურსების სამსახური. კოლეჯის პერსონალი ვალდებულია კოლეჯში თანამშრომლობის დაწყებამდე განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.2. პირადი ინფორმაცია CV 3.*

PDF Eraser Free

*კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დიპლომი,სერთიფიკატი და სხვა); 4. კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღების წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019წ 27/06 N13 ბრძანებით);*
- *პირადი საქმეების გადამოწმებით;*

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქონო საქმე (მოდულური) | მეხუთე დონე/საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი საქონო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან; 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საქონო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). 090552 | 180 | 210 | ქართული | 26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული | 100 | 26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული |
| 2 | ფარმაცია (საფეთიაქო) (მოდულური) | მეხუთე დონე/საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) კოდი 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი. კოდი 090352 | 123 | 153 | ქართული | 26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული | 64 | 26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული |

**IX. თანდართული დოკუმენტაცია**
14/02/2020 წ

ქ. თბილისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2020წ)*

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2020წ)*